დანართი №2

სსიპ კოლეჯის „სპექტრის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „წყალარინების სისტემის მშენებლობა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი

წევრები:

ანა ქურციკიძე

ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: -სსიპ კოლეჯი სპექტრი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: -საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 208183605

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 26.06.2026 წლის №818457 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ სპექტრში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ “ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 7,8,9,10 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ სპექტრში (მის: ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10.). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. განხორცეილდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტზე. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

2.4.1. 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის დანართებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების ლოგიკური დაშვების წინაპირობები. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ მარეგულირებელ წესში არ არის განსაზღვრული სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო განრიგის შედგენის, ჩართული მხარეებისა და გაზიარების პროცედურა, კალენდარული გეგმის შედგენის, შეთანხმების, ცვლილების განხორციელების მექანიზმები. არ არის გამოყოფილი ვინ არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხზე. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მილევად რეჟიმში არსებული პროგრამის სასწავლო განრიგი და კალენდარული გეგმები. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები, სასწავლო განრიგი იტვირთება ელექტრონულ საქისწარმოების სისტემაში (Eflow) ასევე, გამოკრულია დაწესებულებაში. კოლეჯის მარეგულირებელ წესში აღნიშნულია, რომ სასწავლო ცხრილი განთავდება დაწესებულების ოფიცილაურ ვებ. გვერდზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ბოლო სასწავლო განრიგი ატვირთულია 2020 წლის მიღების ჯგუფებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის არასაკმარისობის გამო, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა, დაწესებულების მზაობა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება დაგეგმილი სასწალო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

2.4.1 3. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები. ასევე, წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ განხორცილდა ინტერვიუ პროფეიულ სტუდენტებთან გამოიკვეთა არსებული პრაქტიკის გამოკვეთის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმნტების მიხედვით, ვერ დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს წინასწარ განსაზღვრული, ფორმალიზებული და თანმიმდევრული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების რეგულარულ გათვალისწინებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. აღნიშნულის გამო ვერ დასტურდება, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ორგანიზება განხორციელდება სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული წესებისა და მექანიზმების საფუძველზე, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

2.4.2

1. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის N 128115 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემას, შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების წესს, შეფასების ადმინისტრირების, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების პირობებს, განმეორებითი და დამატებითი შეფასების მექანიზმებს, საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებას, კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურას, შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და შუალედური შეფასების განხორციელების საკითხებს. დოკუმენტი ასევე ადგენს შეფასების პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირებისა და კომისიების უფლებამოსილებებს, შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში არის ისეთი საკითხები, რომლებიც ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თავლსაზრისით გაუმართავია. მოცემულია ,,განმეორებითი“ და ,,დამატებითი“ შეფასება, რომელიც ტერმინთა განმარტებაში არ იძებნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ განმეორებითი შეფასება ტარდება მოდულის სწავლის შედეგის პირველადი დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ხოლო დამატებითი - განმეორებითი შეფასების დაუდასტურებლობის შემდეგ. წესში არის ბევრი გაუმართავი წინადადება, რომელიც ართულებს დოკუმენტის შინაარსის ამოკითხვას. მაგ: ,,განმეორებით შეფასებაზე სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს მოდულით გათვალისწინებული იმ სწავლის შედეგ(ებ)ის/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ის შეფასება, რომელშიც არ დაუდასტურდა სწავლის შედეგები წინა განმსაზღვრელი შეფასებისას, ამასთან, თუ განმეორებითი შეფასება არ წარმოადგენს პროცესზე დაკვირვების შეფასების მიმართულებას, და ამიტომ, მისი განხორციელება განმეორებითი შეფასებისათვის განკუთვნილი საათების განმავლობაში შეუძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით, რაც ასევე, უნდა აისახოს შესაბამისი მოდულის მასწავლებლის სამასახურებრივ ბარათში“.

დოკუმენტში გაწერილია ვალიდაციის პროცედურა. აღნიშნულია, რომ ,,ვალიდაცია სრულდება შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ ერთი კვირით (5 დღე) ადრე, რისთვისაც შემფასებელმა (შესაბამისი მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებელმა) უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს სამსახურებრივი ბარათით (ვიზირებაში სვამს პროგრამის ხელმძღვანელს და დირექტორის მოადგილეს) შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით (10 დღე) ადრე და წარუდგინოს მის მიერ შემუშავებული შეფასების ფურცელი“ , აღნიშნული ჩანაწერით ვვარაუდობთ, რომ დირექტორის მოადგილე და პროგრამის ხელმძღვანელი არიან ვალიდატორები, თუმცა შემდეგ მუხლში ნათქვამია, რომ ვალიდაციას ახორციელებს ვალიდაციის ჯგუფი, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან: ჯგუფის ხელმძღვანელი - დირექტორის მოადგილე და წევრები: პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი სხვა მასწავლებელი, ან/და შესაბამისი კომპეტენციის მოწვეული პირი“. აღნიშნული პროცესის უკეთ გასააზრებლად, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ჩატარებული ვალიდაციის დოკუმენტაცია. სადაც ვალიდაციის ჯგუფში გარდა დირექტორის მოადგილისა შედიის პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი ყველა პირი. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, ყველა მასწავლებელი შეჰყავთ ჯგუფში, საიდანაც კონკრეტული შემთხვევისთვის არჩევენ ვალიდატორებს. აღნიშნულის პრაქტიკაში გადამოწმების შემდეგ, ვერ დგინდება შეფასების ფორმის ავტორისა და ვალიდატორის ვინაობა, ვინაიდან შეფასების ფორმაში ფიქსირდება მხოლოდ დირექტორის მოადგილის ხელმოწერა. აღნიშნული მეთოდოლოგია არ იძლება ერთგვაროვან ინსტრუქციას, ხოლო პრაქტიკა არის არის შესაბამისი დადგენილი წესისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების წესი არეგულირებს ,,შეფასების ფურცლის" (შეფასების ინსტრუმენტი) შედგენის წესს. დანართის სახით ახლავს დოკუმენტს 2 ტიპის შეფასების ფურცელი, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. პირველ ფორმაში არ არის: პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი, შეფასების ჩატარებისთვის განკუთვნილი გარემო, აპელაციის პირობები. მეორე ფორმა მეტ-ნაკლებად სრულყოფილია, თუმცა არც აქ იკვეთება აპელაციის პირობები. დაწესებულების მიერ გამოყენებული ფორმა განსხვავდება ორივე ფორმისგან, თუმცა შინაარსობირივი თვალსაზრისით მოიცავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას , გარდა აპელაციის პირობებისა.

აღნიშნულ წესში დუბლირებულია ვერიფიკაციის პროცედურა. ვერიფიკაციის ჯგუფის ფუნქციები იკვეთება ,,სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების იდენტიფიცირება და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი მტკიცებულებების მონიტორინგის ჯგუფთის ფუნქციებთან, რომელიც ასევე ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შესწავლას. თუმცა არ არის დაზუსტებული ჯგუფის სამუშაო პერიოდი. ასევე არ არის გაწერილი ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდულობა. მხოლოდ ერთ პუნქტშია მოცემული შემდეგი ჩანაწერი - ,,ცალკეულ მოდულზე შეფასების პროცედურების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთ კვირის (5 დღე) ვადაში „მოდულის შეფასების ფურცელს" შევსებული სახით და სტუდენტების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს შესაბამისი მასწავლებელი წარუდგენს ვერიფიკაციის ჯგუფს" . ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფკაციის ჯგუფის დასკვნა. აღნიშნულის მიხედვით, შეფასება ჩატარებულია 4 აპრილს, ხოოლო ვერიფიკაცია 3 ივნისს. გარდა ამისა, ვერიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან იგივე პირები, რომლებიც ვალიდაციის ჯგუფში. აღნიშნული წესი არ მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის მექანიზმს, ასევე არ მოიცავს აპელაციის შედეგების შეტყობინების მექანიზმს. მეთოდოლოგიის მიხედვით საპრეტენზიო კომისიას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, რომელიც არის სასწავლო პროცესთან დაკავშირებით შექმნილ ყველა სხვა კომისიის შემადგენლობაში. წესი მოიცავს გადამეტებული კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების რაოდენობას, რომელიც მეტად ართულებს პროცესის ადმინისტრირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

2. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის N128115 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი", რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებს.

წესის ანალიზმა გამოავლინა, რომ მასში ვერიფიკაციის პროცედურა დუბლირებულია, რაც ართულებს პროცესის ერთმნიშვნელოვან აღქმას და შესაძლოა გამოიწვიოს რეგულირების საკითხების განსხვავებული ინტერპრეტაცია. ამასთან, ვერიფიკაციის ჯგუფის ფუნქციები ნაწილობრივ იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი მტკიცებულებების მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციებთან, კერძოდ, ორივე ჯგუფის საქმიანობა მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შესწავლას, თუმცა დოკუმენტში მკაფიოდ არ არის გამიჯნული აღნიშნული ჯგუფების უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და ურთიერთკავშირი. ასევე, წესით არ არის განსაზღვრული ვერიფიკაციის ჯგუფის საქმიანობის პერიოდი და ვერიფიკაციის განხორციელების პერიოდულობა. აღნიშნული საკითხი მხოლოდ ერთ პუნქტშია ნაწილობრივ რეგულირებული, სადაც მითითებულია, რომ „ცალკეულ მოდულზე შეფასების პროცედურების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის (5 სამუშაო დღის) ვადაში „მოდულის შეფასების ფურცელს" შევსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით და სტუდენტების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს შესაბამისი მასწავლებელი წარუდგენს ვერიფიკაციის ჯგუფს“. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი არ განსაზღვრავს თავად ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების ვადასა და პერიოდულობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის მიხედვით დადგინდა, რომ კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა 4 აპრილს, ხოლო ვერიფიკაცია — 3 ივნისს, რაც მიუთითებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი შეფასების დასრულებიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ განხორციელდა და არ შეესაბამება წესით განსაზღვრულ მექანიზმს.

გარდა ამისა, დადგინდა, რომ ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან იგივე პირები, რომლებიც მონაწილეობენ ვალიდაციის ჯგუფის საქმიანობაში. აღნიშნული ქმნის ინტერესთა კონფლიქტის რისკს და ვერ უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის სათანადო ხარისხს. დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს გარე ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა აღნიშნული საკითხი სცდება დაწესებულების რეგულირების სფეროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის 2.17 პუნქტის თანახმად, შემაჯამებელ უწყისებს სასწავლო პროცესის მენეჯერი გადასცემს კოლეჯის არქივს, სადაც ხორციელდება მათი სათანადო აღრიცხვა. თუმცა, სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უწყისების ატვირთვა ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (Eflow), ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვა და მათი მიკვლევადობის უზრუნველყოფა შიდა და გარე ვერიფიკაციის პროცესებისთვის არ ხორციელდება. კერძოდ, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალი/რეესტრი, აღნიშნული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შეფასების მტკიცებულებების სრულყოფილ მიკვლევადობას და ვერიფიკაციის პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის სისტემურ აღრიცხვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.1 განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები;

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 12 აგვისტოს კორეპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემული იყო დაწესებულების დასაბუთება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული ხარვეზების შესახებ, გრძანება (10.08.2026. 1030268) სსიპ კოლეჯის "სპექტრი" ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრისა და გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, გაუმჯობესების გეგმა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის ცხრილში დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს აღწერილობა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის ზოგიერთი ინდიკატორების შეფასებას სრულად ეთანხმება, ზოგერთს ნაწილობრივ და ზოგიერთს არ ეთანხმება.
წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ ცხრილს და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია	*ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია*
2.4.1. 1. დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა შეფასებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ექსპერტთა მიერ შედეგნილ დასკვნაში აღწერილია რეალობა, კერძოდ ის, რომ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, სადაც კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების ლოგიკური დაშვების წინაპირობები. დასკვნაშივე წერია, რომ სასწავლო განრიგი იტვირთება ელექტრონულ საქისწარმოების სისტემაში (Eflow) და გამოკრულია დაწესებულებაში. რაც შეეხება ვებ გვერდზე გამოქვეყნებას, ბოლო სასწავლო განრიგები გამოქვეყნებულია 2024 წლის (https://spectri.ge/%e1%83%aa%e1%83%ae%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/) , ვინაიდან სასწავლო განრიგი პროგრამის	*ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტებში არ იყი განსაზღვრული სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული პროცედურები. კერძოდ, არ ოყო გაწერილი სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო განრიგის შედგენისა და დამტკიცების, პროცესში ჩართული მხარეების განსაზღვრისა და მათთვის ინფორმაციის გაზიარების, ასევე კალენდარული გეგმის შემუშავების, შეთანხმების, დამტკიცების, ცვლილების განხორციელებისა და შესაბამისი ცვლილებების კომუნიკაციის მექანიზმები. ამასთან, დოკუმენტურად არ იკვეთებოდა ის პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცესის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემადგენელი მოდულების დაწყება/დასრულების შესაბამისად, ექვემდებარება ხშირ ცვლილებას, ამიტომ, სასწავლო განრიგის თვალსაჩინო ადგილას განთავსებით ხდება მისი გაზიარება, რაც უფრო მოსახერხებელს ხდის სტუდენტებისათვის მის გაცნობას. ასევე, დაწესებულებამ წარადგინა მიმდინარე პროგრამების/მოდულების კალენდარული გეგმები. ეს ყველაფერი ნიშნავს რომ რეალურად პროცესი მიმდინარეობს პროფესიული განათლების ზოგადი პრინციპებისა და მეთოდოლოგიური რეკომენდაციების გათვალისწინებით. გეთანხმებით, რომ იყო საკითხები, რომლებიც მარეგულირებელ წესებში არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული და მოითხოვდა მეტ კონკრეტიკას. ამიტომ ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად ეს ავსახეთ კიდეც სასწავლო პროცესის ახალ მარეგულირებელ წესში. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა და განხროციელდება დაგეგმილი სასწავლო გეგმის შესაბამისად.	*კოორდინაციასა და აღნიშნული პროცედურების შესრულების მონიტორინგს.* *ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა კალენდარული გეგმის ერთი ნიმუში. თუმცა, მხოლოდ ცალკეული კალენდარული გეგმის არსებობა ვერ უზრუნველყოფს იმის დადასტურებას, რომ სასწავლო პროცესი სისტემურად და წინასწარ განსაზღვრული მექანიზმების საფუძველზე ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი, შესაბამისი მარეგულირებელი პროცედურებისა და სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე, ვერ ქმნის საკმარის საფუძველს პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის სისტემურობის შესაფასებლად.* *ამასთან, ვინაიდან აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას დაწესებულება პირველად გეგმავს, ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე არ არსებობდა პრაქტიკაში განხორციელებული სასწავლო პროცესის შესაბამისი მტკიცებულებები. შესაბამისად, ვერ მოხერხდა სასწავლო განრიგისა და კალენდარული გეგმის სასწავლო გეგმასთან ფაქტობრივი შესაბამისობის შეფასება და იმის დადასტურება, რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულება დაგეგმილი სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებას.* *მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნულ შეფასებას არ ეთანხმება, ამავდროულად, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, შეიმუშავა გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომელშიც განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ დაწესებულებამ თავადაც დაინახა პროცესების შემდგომი ფორმალიზებისა და რეგულირების აუცილებლობა.*
2.4.1 2.დაწესებულება არ იზიარებს ავტორიზაციის ექპერტთა შეფასებას, იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებაში არ არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები.	ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ და თანმიმდევრულად იქნებოდა გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დადასტურდა, რა ფორმით და რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევა და გათვალისწინება ხდება სხვადასხვა მეთოდებით. შეიძლება ეს არ არის ერთი წესის შიგნით გაწერილი და რეგულირებული, თუმცა უნდა ითქვას რომ კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისკენაა მიმართული. კერძოდ, ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და რის საფუძველზეც დგება ანგარიში, ხდება გამოკვეთილი საჭიროებების განხილვა და გათვალისწინება. ამის დამადასტურებლია კვლევის ანგარიშები, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე: მაგალითად https://drive.google.com/drive/folders/1gEFh3sIDai0r9kl1Jvv3K1lsrNf-lRAt ასევე, პროგრამის ხელმძღვანელების და პროფესიული მასწავლებლების ფუნქციებში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინების მიზნით მათთან მუდმივი კომუნიკაცია და სასწავლო თუ სხვა ტიპის საჭიროების გამოკვეთა, დაწესებულების ადმინისტრაციისათვის წარდგენა შემდგომი რეაგირებისთვის. სტუდენტთა ინტერსებისა და საჭიროებების დადგენასა და გათვალისიწნებას განსაზღვრავს სსსმ და შშმ პირების სხვადასხვა სერვისებით უზრუნველყოფის რეგულაცია და ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები (მაგ. ტრანსპორტით მომსახურება, სპეციალური ასისტენტების სერვისით მომსახურება, ინდ გეგმები და კონსულტაციები. ტრანსპორტირების ტენდერები ატვირთულია ეფლოუში, ასისტენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები რეგულარულად წარადგენენ ანგარიშებს გაწეული სამუშაოს შესახებ და.ა.შ) უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლეჯს აქვს წარმატებული სტუდენტების წახალისების და ასევე, სოციალურად დაუცველი პირებისათვის მხარდაჭერის პრაქტიკა. კოლეჯ სპექტრში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც გაწერილი წესის https://drive.google.com/file/d/1t6_xgxKNZna2UQU7YlkfteglIG5NWeJ5/view	პერიოდულობით ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნული საჭიროებების გამოვლენასა და ანალიზზე, როგორ ხდება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება და როგორ აისახება სტუდენტთა ინტერესები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამასთან, წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს გზით გადაემოწმებინა არსებული პრაქტიკა და დაედგინა, რამდენად ხორციელდება რეალურად სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. შესაბამისად, შეფასებისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა დაწესებულების მზაობაზე, პროცესების წინასწარ განსაზღვრულობასა და მათ მარეგულირებელ დონეზე ფორმალიზებაზე. აღნიშნულ პირობებში, მხოლოდ ზეპირი განმარტებები ან ცალკეული პრაქტიკის არსებობა ვერ ჩაითვლებოდა საკმარის მტკიცებულებად, რადგან ვერ უზრუნველყოფდა პროცესის სისტემურობის, თანმიმდევრულობისა და მდგრადობის დადასტურებას. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა ინდიკატორის შეფასებისას მხედველობაში მიეღო კონკრეტული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, ვინაიდან დაწესებულებას არ წარმოუდგენია პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი დოკუმენტური აღწერა. მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის ან პროფესიული განათლების მასწავლებლის ზოგადი ფუნქციის არსებობა თავისთავად ვერ ადასტურებს სტუდენტთა საჭიროებების სისტემურად გათვალისწინების მექანიზმის არსებობას. მნიშვნელოვანია, რომ ფუნქციები და პასუხისმგებლობები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, ერთმანეთთან დაკავშირებული და შესაბამისობაში მოდიოდეს დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს. ატარებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით ატარებს სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობებს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ 2.4.1.2 ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია	
2.4.2 1. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში აღწერილ გარემოებებს და სრულად ეთანხმება ამ კონკრეტული ინდიკატორის მიმოხილვაში აღწერილ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციებს. მართლაც, კოლეჯში არსებული რეგულაციები გაბნეული იყო სხვადასხვა წესში და მთლიანობაში გაძნელებულია სასწავლო და შეფასების სისტემის ორგანიზების ერთიანი აღქმა. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ვიზიტის პროცესში და მის შემდგომ მოხდა არსესებული პრაქტიკის გაანალიზება, მთელი რიგი მარეგულირებელი წესების გაუქმება/ მოდიფიკაცია და მოხდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ერთიანი წესის შემუშავება და დამტკიცება, სადაც გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი რაც ექსპერტთა ვიზიტისას წარმოჩინდა. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის შეფასების წესში გაუქმდა ცალკეული კომისიები და დაზუსტდა ტერმინები. ჩვენი აზრით, კარგი იქნება თუ ექსპერტები გამოიჩენენ კეთილ ნებას და მხედველობაში მიიღებენ ამ გარემოებას.	*დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას და ხარვეზის აღმოფხვის მიზნით, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს შესაბამისი აქტივობები.*
2.4.2 2.დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ ინდიკარტორთან მიმართებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას. როგორც ძველ პროფესიული სტუდენტის შეფასების წესში, ასევე ახალ მარეგულირებელ წესში ზუსტადაა განსაზღვრული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები და პროცედურები. ვერიფიკაციის პროცესი ამ რეგულაციის შესაბამისად ხორციელდებოდა, ვერიფიკაციის განხორციელების ვადები განისაზღვრება ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად და კონკრეტული ინსტრუმენტის ვერიფიკაციისთვის შერჩევა და შემოწმებისას არ ირღვევა არანაირი ვადა.	ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღნიშნული ინდიკატორის შეფასებას დამატებითი განმარტება არ სჭირდება. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესში ვერიფიკაციის პროცედურა დუბლირებულია, რაც ართულებს პროცესის ერთმნიშვნელოვან აღქმას და შესაძლოა გამოიწვიოს რეგულირების საკითხების განსხვავებული ინტერპრეტაცია. ამასთან, ვერიფიკაციის ჯგუფის ფუნქციები ნაწილობრივ იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი მტკიცებულებების მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციებთან, კერძოდ, ორივე ჯგუფის საქმიანობა მოიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხოლო რაც შეეხება ჩანაწერს, რომელიც დუბლირების შთაბეჭდილებას ტოვებს, განგიმარტავთ, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი მტკიცებულებების მონიტორინგის ჯგუფის“ ფუნქციებთან ვერიფიკაციის ტერმინის ხმარება უფრო ტექნიკური უზუსტობაა და ადრე არსებული პრაქტიკიდან არის შემორჩენილი, როდესაც ვერიფიკაციის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო ავტორიზაციის სტანდარტებში ცალკე ინდიკატორად განსაზღვრული და ფუნქციურადაც სხვა დატვირთვა ქონდა, შესაბამისად ვერიფიკაციის ტერმინი აქ შემოწმების სინონიმად არის გამოყენებული. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული ჯგუფის არსებობის საჭიროების არარსებობის გამო, საერთოდ იქნა ამოღებული ეს ჯგუფი/კომისია ახალი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესიდან, ვთვლით რომ ამ შემთხვევაში ინდიკატორის დაკმაყოფილება სრულიად მიზანშეწონილია.	პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შესწავლას, თუმცა დოკუმენტში მკაფიოდ არ არის გამიჯნული აღნიშნული ჯგუფების უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და ურთიერთკავშირი. ასევე, წესით არ არის განსაზღვრული ვერიფიკაციის ჯგუფის საქმიანობის პერიოდი და ვერიფიკაციის განხორციელების პერიოდულობა. აღნიშნული საკითხი მხოლოდ ერთ პუნქტშია ნაწილობრივ რეგულირებული, სადაც მითითებულია, რომ „ცალკეულ მოდულზე შეფასების პროცედურების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის (5 სამუშაო დღის) ვადაში „მოდულის შეფასების ფურცელს“ შევსებული სახით და სტუდენტების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს შესაბამისი მასწავლებელი წარუდგენს ვერიფიკაციის ჯგუფს“. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი არ განსაზღვრავს თავად ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების ვადასა და პერიოდულობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის მიხედვით დადგინდა, რომ კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა 4 აპრილს, ხოლო ვერიფიკაცია — 3 ივნისს, რაც მიუთითებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი შეფასების დასრულებიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ განხორციელდა და არ შეესაბამება წესით განსაზღვრულ მექანიზმს. გარდა ამისა, დადგინდა, რომ ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან იგივე პირები, რომლებიც მონაწილეობენ ვალიდაციის ჯგუფის საქმიანობაში. აღნიშნული ქმნის ინტერესთა კონფლიქტის რისკს და ვერ უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის სათანადო ხარისხს. *მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნულ შეფასებას არ ეთანხმება, ამავდროულად, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, შეიმუშავა გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომელშიც განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ დაწესებულებამ თავადაც დაინახა არსებული ხარვეზი და დასახა გამოსწორების გზები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2. 3.დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა შეფასებას. დასკვნაში ..აღწერილია რომ „შემაჯამებელ უწყისებს სასწავლო პროცესის მენეჯერი გადასცემს კოლეჯის არქივს, სადაც ხორციელდება მათი სათანადო აღრიცხვა.“ ეს მიუთითებს რომ აღრიცხვიანობის პრაქტიკა დანერგილია. ასევე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან არის თავმოყრილი ყველა პროგრამის ყველა მოდულის შეფასების უწყისები და ორგანიზებულია ჯგუფების მიხედვით. მეტი თვალსაჩინოებისთვის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დანართში მითითებულია შეფასების უწყისების რეესტრის ფორმაც. რაც, შეეხება მტკიცებულებების ნაწილს, მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელია პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ჯგუფის მიერ პროგრამის დასრულების შემდგომ მტკიცებულებებს გადასცემს არქივს შესაბამისი დროით შენახვის მიზნით და, რა თქმა უნდა, არის აღრიცხული და ჯურნალში გატარებული. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მისი მიკვლევადობა და ხელმისაწვდომობა სრულიად უზრუნველყოფილია. კოლეჯი მუდმივად ცდილობს განავითაროს და დახვეწოს მექანიზმები და ეს ნაწილიც ექვემდებარება განვითარებასა და სრულყოფას, თუმცა ამჟამად არსებული პრაქტიკაც პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც ინდიკატორითაა განსაზღვრული.	ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის 2.17 პუნქტის თანახმად, შემაჯამებელ უწყისებს სასწავლო პროცესის მენეჯერი გადასცემს კოლეჯის არქივს, სადაც ხორციელდება მათი სათანადო აღრიცხვა. თუმცა, სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უწყისების ატვირთვა ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (Eflow), ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვა და მათი მიკვლევადობის უზრუნველყოფა შიდა და გარე ვერიფიკაციის პროცესებისთვის არ ხორციელდება. კერძოდ, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალი/რეესტრი, აღნიშნული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შეფასების მტკიცებულებების სრულყოფილ მიკვლევადობას და ვერიფიკაციის პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის სისტემურ აღრიცხვას. დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო და სისტემური აღრიცხვა არ ხორციელდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ არქივარიუსის მიერ დოკუმენტების დამუშავება და შეფასების უწყისების ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (Eflow) ატვირთვა, თავისთავად, ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნის შესრულებას. აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს დოკუმენტების შენახვისა და ელექტრონული საქმისწარმოების ნაწილის ორგანიზებას, თუმცა არ მოიცავს შეფასების მტკიცებულებების სისტემურ აღრიცხვას, რაც აუცილებელია მათი იდენტიფიცირების, მიკვლევადობისა და შემდგომი ვერიფიკაციისთვის. *მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნულ შეფასებას არ ეთანხმება, ამავდროულად, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, შეიმუშავა გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომელშიც განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ დაწესებულებამ თავადაც დაინახა არსებული ხარვეზი და დასახა გამოსწორების გზები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესეულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა (სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნვეყოფის გეგმა) წარმოდგენილი გეგმით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს იდენტიფიცირებული შეუსაბამობების აღმოფხვრისკენ მიმართული აქტივობები, მათ შორის, შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება/განახლება და დამტკიცება. გეგმა ასევე განსაზღვრავს აქტივობების განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებსა და შესაბამისი მტკიცებულებების წყაროებს. დაგეგმილი ღონისძიებები მიემართება როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმების მოწესრიგებას, ისე შეფასების პროცესის, ვერიფიკაციისა და შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა დამტკიცებულია 10 აგვისტოს დირექტორის N 1030268 ბრძანებით. გეგმაში აქტივობების განხორციელების პერიოდად მითითებულია 10 ივლისი – 10 აგვისტო. შესაბამისად, დოკუმენტის დამტკიცების მომენტისთვის (10 აგვისტო) მასში გაწერილი აქტივობების განხორციელების ვადა უკვე ამოწურული იყო. აღნიშნული მიუთითებს არა მხოლოდ ვადების აცდენაზე, არამედ იმაზეც, რომ მითითებული აქტივობების განხორციელების პროცესში თავად გაუმჯობესების გეგმა არ იყო დამტკიცებული და მას არ გააჩნდა სამართლებრივი/ოფიციალური საფუძველი. არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება განმარტავს, რომ გეგმით განსაზღვრული აქტივობები უკვე შეასრულა და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნული ქმნის აშკარა წინააღმდეგობას: ერთის მხრივ, წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა, როგორც სამომავლო აქტივობების ინსტრუმენტი, ხოლო მეორეს მხრივ — პოზიცია, რომლის მიხედვითაც ეს აქტივობები უკვე სრულად არის რეალიზებული. ექსპერტთა ჯგუფმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიიღო არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, ხოლო დაწესებულებას 10 აგვისტოს უკვე დასრულებული ჰქონდა გეგმით განსაზღვული აქტივობები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას მხედველობაში მიეღო ზემოაღნიშნული შესაბამისობის გეგმა.

მიმდინარე წლის 13 აგვისტოს, დაწესებულებამ დამატებით გამოაგზავნა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აქტივობების განხორციელების ვადები შეცვლილი და გაზრდილი იყო. აღნიშნულ დამატებით დოკუმენტს არ ახლდა დაწესებულების განმარტება, თუ რა გარემოებამ განაპირობა ახალი გეგმის წარმოდგენის აუცილებლობა და რატომ შეიცვალა მანამდე წარმოდგენილი გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული ვადები. ამასთან, დამატებით წარმოდგენილი გეგმა არ არის დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, შესაბამისად არ აქვს იურიდიული ძალა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მოხდა აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინება საბოლოო დასკვნის მომზადებისას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანების(საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ) 38-ე მუხლის მე-4 და მე-9 პუნქტების მიხედვით, ექსპერტი არ არის უფლებამოსილი მხედველობაში მიიღოს ვიზიტის შემდეგ შექმნილი დოკუმენტაცია. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ შესაბამისობის გეგმას, დოკუმენტებს და არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასება რჩება უცვლელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	წყალარინების სისტემის მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია წყალარინების სისტემების მშენებლობაში; Secondary Vocational Qualification in Water Sewage Systems Construction
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება MES 3 26 0000630362 27.05.2026 (ცვლილება ბრძანება MES 5 26 0000911515, 10.07.2026)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	111
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	141
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ მოქმედებს დირექტორის 2021 წლის 07 აპრილის N15-ა ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის 18 ივლისის ბრძანება N 60-ა) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისა და მოდულ(ებ)ის შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“ აღნიშნულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე დაყრდნობით 2026 წლის 27 მაისის N MES 3 26 0000630362 (ცვლილება: 2026 წლის 10 ივლისის ბრძანებაN MES 5 26 0000911515,) ბრძანებით დამტკიცდა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „წყალარინების სისტემის მშენებლობა “ (სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეტალური სფეროს კოდი 0732). წესში აღნიშნულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და კოლეჯის მიერ პროგრამათა სპექტრის გაფართოებასთან მისი ძირითადი პროფილური მიმართულებით. „წყალარინების სისტემის მშენებლობის“ პროგრამის დამატებაც სწორედ აღნიშნული ფაქტორებითაა განპირობებული (კოლეჯში უკვე . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტში მკაფიოდაა გადანაწილებული პასუხისმგებლობები, ყველა ეტისათვის საჭირო აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, დარგის სპეციალისტების ჩართულობა, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს პროგრამის შრომის ბაზართან და დამსაქმებლის მოთხოვნებთან შესამაბისმობის მაქსიმალურ ნიშნულს. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევების ანალიზი და საქართველოში არსებული დასაქმების ვებ-გვერდებზე განთავსებული ვაკანსიების სტატისტიკური ინფორმაციის მოკვლევის შედეგები. კოლეჯს აქვს მსგავსი დასახელების პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი პრაქტიკა, მილევად რეჟიმში მყოფი პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების დოკუმენტში ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, დროს კოლეჯს წარმოდგენილი აქვს უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც სამშენებლო სფეროში დასაქმების მაჩვენებელი მაღალია. **მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ მიზანშეწონილი იქნება დაწესებულებამ სამომავლოდ უფრო მეტი დრო დაუთმოს საკუთარი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების კვლევას და შედეგების ანალიზს.**

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „წყალარინების სისტემის მშენებლობის“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა ,,შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და ამით ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ასევე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის უზრუნველყოფა”. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს 2026-2032 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საავტორიზაციოდ წარმოდგენილი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალარინების სისტემის მშენებლობა“ შემუშავებულია მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, საბაზო განათლება. აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 07 აპრილის N15-ა ბრძანებით, „სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურა“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის No42/ნ ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოლოგის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №145 ბრძანება (ცვლილება: 2024 წლის 02 ივლისის №267 ბრძანებით). აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ფორმას, საჭირო ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობას და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას. კოლეჯის მიერ პროგრამისთვის მოთხოვნილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა – 45 სტუდენტი, 15 სტუდენტით დაკომპლექტებული სამი ჯგუფი, მათ შორის ერთი ჯგუფი ინტეგრირებული პროგრამისათვის. კოლეჯში არსებული აუდიტორიები, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, საკმარისია შესაბამისი ჯგუფებისათვის. კოოპერაციული სწავლების ფორმა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული პრაქტიკის ხელშეკრულება ასევე სრულად ფარავს მოთხოვნილ სტუდენტთა ლიმიტს. შესაბამისად, 45 სტუდენტის ზღვრული რაოდენობა რეალისტური და დასაბუთებულია.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები სრულად უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯში მოწყობილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი სახელოსნო. ვინაიდან სწავლება მიმდინარეობს კოოპერაციული ფორმატით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს „ევრომასტერთან“, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად არის ხელმისაწვდომი. საგანმანათლებლო რესურსის ნაწილში, თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია დარგობრივი ლიტერატურა და სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები. კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სპეციალური ლიტერატურა, რომელიც პროფესიული სტუდენტებისთვის შეუფერხებლად არის ხელმისაწვდომი. თეორიული და ზოგადი მოდულებისთვის გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერული კლასი და აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია პროექტორებით. რესურსების იდენტიფიცირება მოხდა უშუალოდ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური აღჭურვილობის ნუსხის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „წყალარინების სისტემის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არის ფიქსირებული, სავალდებულო კომპონენტებზე ორიენტირებული და იგი არ მოიცავს არჩევით მოდულებს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი მოცემულ პროგრამასთან მიმართებით არ წარმოშობს შეუსაბამობის რისკს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ მოქმედებს დირექტორის 2021 წლის 07 აპრილის N15-ა ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის 18 ივლისის ბრძანება N 60-ა) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისა და მოდულ(ებ)ის შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“ . აღნიშნული წესის მიხედვით, პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 07 აპრილის №MES 5 26 0000413941 ოფიციალური წერილობითი თანხმობის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N630362, 27.05.2026 (ცვლილება ბრძანება N911515, 10.07.2026) დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „წყალარინების სისტემის მშენებლობა“. შესაბამისად, პროგრამა ლეგიტიმურია და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის სახელწოდება – „წყალარინების სისტემის მშენებლობა “ – სრულ შესაბამისობაშია მის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგები ორიენტირებულია ისეთ დარგობრივ კომპეტენციებზე, როგორიცაა: სამუშაოს შესრულება შედგენილი პროექტისა და ნახაზის შესაბამისად, წყალარინების ქსელის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, წყალარინების ქსელის მოწყობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თხრილის მოწყობის სამუშაოს შესრულება, წყალარინების ხელოვნური ნაგებობების სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, წყალარინების სისტემაში პროფილაქტიკური და საავარიო სამუშაოების შესრულება, სანიველირე სამუშაოების შესრულება, გარემოსა და შრომის უსაფრთხოების დაცვა.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალარინების სისტემის მშენებლობა“ სრულად პასუხობს მოქმედ საგანმანათლებლო კანონმდებლობას, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. კოლეჯში პროგრამის სტრუქტურისა და კომპონენტების შესაბამისობა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისა და მოდულ(ებ)ის შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“. პროგრამაზე შემუშავებულია ოთხი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის (არაინტეგრირებული, 83 კრედიტი), ქართულენოვანი სტუდენტებისათვის (ინტეგრირებული, 111 კრედიტი), არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის (არაინტეგრირებული 113 კრედიტი, ქართული ენის სავალდებულო მოდულებით) და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის (ინტეგრირებული 141 კრედიტი, ქართული ენის სავალდებულო მოდულებით). პროგრამის ძირითად დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი მიზნები, სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკული კომპონენტის ეტაპები. სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა ეფუძნება კოლეჯის მოქმედ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასების წესსა“ (ბრძანება N9-ა, 2025 წლის 27 იანვარი, ცვლილება: ბრძანება N MES 1 26 0000128115) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შეფასებისა და დადასტურების წესი“ (ბრძანება N11-ა, 2025 წლის 27 იანვარი)

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელების ფორმატები სრულ შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასა და შიდა რეგულაციებთან.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „წყალარინების სისტემის მშენებლობა“ (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმები);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება MES 3 26 0000630362 27.05.2026 (ცვლილება ბრძანება MES 5 26 0000911515, 10.07.2026) პროგრამის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის მიერ 2021 წლის 07 აპრილის N15-ა ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის 18 ივლისის ბრძანება N 60-ა) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისა და მოდულ(ებ)ის შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №145 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 02 ივლისის ბრძანებით №267);
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასების წესი“ (ბრძანება N9-ა, 2025 წლის 27 იანვარი, ცვლილება: ბრძანება N MES 1 26 0000128115)
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შეფასებისა და დადასტურების წესი“ (ბრძანება N11-ა, 2025 წლის 27 იანვარი)
- პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

„წყალარინების სისტემის მშენებლობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯს განსაზღვრული აქვს 45 სტუდენტის მიღება, მათგან 15 სტუდენტის ისეთ პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. სწავლის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არაინტეგრირებულ პროგრამაზე არის 49 სასწავლო კვირა, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის მოდულების გატვალისწინებით, 70 სასწავლო კვირა. რაც შეეხება ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, აქ სწავლის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 67 სასწავლო კვირას, ხოლო ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით, 88 სასწავლო კვირას. პროგრამის ფარგლებში, რადგანაც სწავლების ფორმა არის კოოპერაციული, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან – შპს „ევრომასტერი“ ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ პროგრამის მიზნებისათვის გამოყენებული იქნება კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აღნიშნული ხელშეკრულებით კონკრეტულად არის გაწერილი მოდულები და სწავლის შედეგები, რომელიც უნდა განხორციელდეს საწარმოს ბაზაზე, ესენია:

1. წყალარინების ქსელის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები - სწავლის შედეგი 2,3,4,5,6
2. წყალარინების ქსელის მოწყობა - სწავლის შედეგი 3,4,9
3. თხრილის მოწყობა - სწავლის შედეგი 1,2,3,4
4. ხელოვნური ნაგებობეი წყალარინების სისტემაში - სწავლის შედეგი 2,3,4,5
5. პროფილაქტიკური და საავარიო სამუშაოები წყალარინების ქსელზე - სწავლის შედეგი 1,2,3,4

გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ როგორც ხელშეკრულებაში არის აღნიშნული, სასწავლი პროცესის განმავლობაში საწარმოს მხრიდან გამოყოფილი იქნება კვალიფიციური პირი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლებასა და შეფასებას. კომპანია მზად არის ჯგუფში მიიღო 15 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების ასათვისებლად დაწესებულებას საკუთარ მფლობელობაში გააჩნია სასწავლო გარემო — სახელოსნოები, პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად საწირო აღწურვილობა და სივრცე, სადაც შესაძლებელია პრაქტიკული სამუშაობს შესრულება. პროგრამაში, ზოგადი მოდულებისა და თეორიული სწავლების შედეგების მიღწევისათვის, ლაბორატორია ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისათვის, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებას სპორტის ინტეგრირებულ მოდულში არჩეული აქვს -ფეხბურთი და აერობიკა. კოლეჯს აქვს ფეხბურთის სტადიონი, ხოლო აერობიკის თემატური ბლოკისთვის გამოყოფილი აქვს გარემო სადაც განთავსებულია მოდულის განხორციელებისათვის სათანადო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული კლასი აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, დაფებით, პროექტორებითა, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი, კომპიუტერული კლასები და მატერიალური აღჭურვილობა ერთობლიობაში (კოლეჯის ბაზა და პრაქტიკის ობიექტი ერთად) სრულად და შეუფერხებლად უზრუნველყოფს პროგრამის ყველა მოდულისა და სწავლის შედეგის მიღწევას მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტურად შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, ამასთან ერთად დამატებითი შეთანხმებები, რომლებითაც დასტურდება თითოეულ პროფესიულ მოდულზე პერსონალის ოპტიმალური და კანონმდებლობის შესაბამისი განაწილება. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ხელშეკრულებების პირობების ანალიზით დადგინდა, რომ მათი ინდივიდუალური საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. პერსონალის გამოკითხვამ დაადასტურა მათი მზაობა, კომპეტენცია და კოლეჯთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები, რაც გამორიცხავს კადრების კრიტიკულ გადატვირთვას და სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას მისი ამოქმედების ეტაპზე.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ახალი პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლა ცხადყოფს მათ მაღალ დარგობრივ კომპეტენციას. სპეციფიკური დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ კადრებს გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ სფეროში, რაც პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგების ეფექტურად გამომუშავებასთან. შერჩეულ მასწავლებელთა ნაწილს გავლილი აქვს პროფესიული განათლების მეთოდოლოგიის, მოდულური სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების სისტემების ტრენინგები (დასტურდება სერტიფიკატებით).

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა და მათი კომპეტენციების დადგენა ეფუძნება „სსიპ კოლეჯ სპექტრის პროფესიული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესის“ დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანებას (N114-ა, 2018 წლის 10 აგვისტო).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებითა და ანალიზით დადასტურდა, რომ თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნული წესითა და სამუშაო აღწერილობებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ თითოეულ მათგანს გააჩნია სწავლების პრაქტიკული გამოცდილება, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტაციის წარმოების გამოცდილება, მათ შორის კალენდარული გეგმებისა და შეფასების ისნტრუმენტების შექმნის. ასევე შეფასების პროცესის მართვის გამოცდილება. შესაბამისად, არსებული ადამიანური რესურსი იძლევა გარანტიას, რომ თითოეული მოდულის პოტენციური შემფასებელი ფლობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების უნარს.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

„წყალარინების სისტემის მშენებლობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) განსაზღვრული პირი, რომლის პროფესიული პროფილი სრულად შეესაბამება დაწესებულების მიერ ახალი პროგრამის მართვისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელის პირადი საქმის, CV-ისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ანალიზით დადგინდა, რომ შერჩეული პირი სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. ხელმძღვანელის აკადემიური განათლება, დარგობრივი კვალიფიკაცია და პრაქტიკული საქმიანობა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ ხარისხს. წარმოდგენილი მასალებიდან და ჩატარებული ინტერვიუდან ჩანს, რომ ხელმძღვანელი წლებია ჩართულია კოლეჯის სასწავლო პროცესში, სხვადასხვა პროგრამების განხორციელებაში, აქტიურად უწევდა კოორდინაციას პროგრამის მომზადების პროცესს, მჭიდროდ თანამშრომლობდა შერჩეულ მასწავლებლებთან და პარტნიორ დამსაქმებლებთან, რაც ადასტურებს მის მზაობას პროგრამის ეფექტური მართვისათვის.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ოქტომბრის N75-ე ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „სპექტრი“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის, ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკის შემოვლის ბარათი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის სარგებლობისთვის და ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება. ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.
ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული სამაგიდო კომპიუტერები მკითხველებისთვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯში მოქმედებს 2021 წლის 07 აპრილის ბრძანებით N15-ა (ცვლილება 2024 წლის 18 ივლისი, ბრძანება N60-1) დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდიკის განსაზღვრის წესი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდუვლი შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებისათვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის წესი. წესში დეტალურადაა აღწერილი სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩრიცხვის პროცედურა, მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების დადგენის და შედგენის პროცედურები, ასევე ფიზიკური გარემოს ადაპტირების საჭიროების გამოვლენის შემდგომი ნაბიჯები დაწესებულების მხრიდან, მოდიფიკაციის პროცედურა, აქტივობების განხორციელებასა და მასში სტუდენტების ჩართვაზე პასუხისმგებელი პირები, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და საჭიროების შემთხვევაში სსსმ ან შშმ პირის პერსონალური ასისტენტი, მათ მიერ სერვისის უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელი აქტივობები და შემდგომ ამ ყველაფრის აღრიცხვა-ანგარიშის პროცედურა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა დაწესებულების სამართლებრივი, მატერიალური და ადამიანური მზაობა სსსმ პირთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია და „წყალარინების სისტემის მშენებლობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური საპროგნოზო ბიუჯეტი ადასტურებს მის ფინანსურ მდგრადობას პროგრამის დამატების ეტაპზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ბიუჯეტში არის გაწერილი და დაბალანსებული საპროგნოზო შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი, მათ შორის: მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალებისა და ოპერაციული ხარჯები, როგორც არაინტეგრირებული, ასევე ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში. რაც იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა შეუფერხებლად ამუშავდება. ბიუჯეტის ანალიზითა და წარმოდგენილი ფინანსური გათვლების შეფასებით დგინდება, რომ პროგრამის რენტაბელობის მინიმალური ზღვარი შეადგენს 13 პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული ზღვრის მიღწევა სრულად რეალისტურია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და რეგიონში დარგზე არსებული მაღალი შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით, რაც დამატებით უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ სტაბილურობასა და გრძელვადიან მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის აღწერილობა და არსებობა კოლეჯისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის ბაზაზე.
- ახალი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებთან (შპს „ევრომასტერი) გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის განხორციელების შესახებ, რომელიც მოქმედია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით.
- შერჩეულ მასწავლებელთა პირადი საქმეები (დიპლომები, რეზიუმეები, კვალიფიკაციისა და ტრენინგების სერტიფიკატები);
- სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №114-ა ბრძანებით)
- პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.
- ბიბლიოთეკასი არსებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერუალური, ასევე ელექტრონული, ახალი მოდულების მიხედვით სავალდებულო ლიტერატურის არსებობა.
- ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროგრამის „წყალარინების სისტემის მშენებლობა“ ინდივიდუალური საპროგნოზო ბიუჯეტი.
- ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დირექტორის 07.04.2021 წლის No 15-ა ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისა და მოდულ(ებ)ის შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი, ასევე სსიპ კოლეჯის ,,სპექტრის" დირექტრის 2021 წლის 7 აპრილის № 16 ა ბრძანებით დამტკიცებულა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის გამოკითხვის ბარათებითა და პროცედურებით, რომლის მიხედვითაც ხდება ინფორმაციის შეგროვება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნითა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისათვის. წესში პროცედურების აღწერას თან ერთვის პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები, რომლითაც ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიღება და ანალიზი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურაც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისას დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, ინიციატივების დასაბუთებას, მათ შორის, შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებლების უკუკავშირი და პროგრამის განვითარებაში ჩართულობა. აღნიშნულ წესებში პროგრამის შეფასება დაფუძნებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, მათ უკუკავშირზე, ნებისმიერი დაინტერესებული მხარეების წინადადებებსა თუ, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკაზე. ინდიკატორის 2.3.1.1.მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში არსებული შიდა დოკუმენტები რომლებიც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს, გულისხმობს დაწესებულებამ გაანალიზოს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში გახორციელდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ხარისხის შეფასება გულისხმობს უპირველესად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამების განვითარებას. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან საუბრისას დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ უფრო გააზრებულად შეიტანენ ცვლილებებს. დახვეწენ, გაამრავალფეროვნებენ მოდულების თემატიკას, დაამატებენ სასწავლო რესურსს, განავითარებენ მოდულის განხორციელების მიდგომებს, გადახედავენ საათების გადანაწილებას. საჭიროების შემთხვევაში შეცვლიან ან დაამატებენ პროფესიული განათლების მასწავლებელს და სხვა. გააანალიზებენ მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და დააიდენტიფიცირებენ გასაუმჯობესებელ საკითხებს. ეს შეეხება როგორც უშუალოდ პროგრამას, ასევე სასწავლო გეგმას. გაითვალისწინებენ პრაქტიკის ობიექტების/პარტნიორი საწარმოებისა და იმ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს. ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისა და მოდულ(ებ)ის შემუშავების, ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადის დანართებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების ლოგიკური დაშვების წინაპირობები. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არც ერთ მარეგულირებელ წესში არ არის განსაზღვრული სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო განრიგის შედგენის, ჩართული მხარეებისა და გაზიარების პროცედურა, კალენდარული გეგმის შედგენის, შეთანხმების, ცვლილების განხორციელების მექანიზმები. არ არის გამოყოფილი ვინ არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხზე. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მილევად რეჟიმში არსებული პროგრამის სასწავლო განრიგი და კალენდარული გეგმები. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები, სასწავლო განრიგი იტვირთება ელექტრონულ საქისწარმოების სისტემაში (Eflow) ასევე, გამოკრულია დაწესებულებაში. კოლეჯის მარეგულირებელ წესში აღნიშნულია, რომ სასწავლო ცხრილი განთავდება დაწესებულების ოფიციალურ ვებ. გვერდზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ბოლო სასწავლო განრიგი ატვირთულია 2020 წლის მიღების ჯგუფებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის არასაკმარისობის გამო, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა, დაწესებულების მზაობა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება დაგეგმილი სასწალო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

3. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, სადაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები. ასევე, არ გამოიკვეთა პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირებას, მათზე დროულ და მოქნილ რეაგირებასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. აღნიშნულის გამო ვერ დასტურდება, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ორგანიზება განხორციელდება სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული წესებისა და მექანიზმების საფუძველზე, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამა აღჭურვილია სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ტექნოლოგიები თანამედროვეა და სრულად უზრუნველყოფს შესასწავლი მასალის სტუდენტისათვის მიწოდების სიმარტივეს. ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტის აღჭურვილობა სრულად ხელმისაწვდომი იქნება, სასწავლო პროცესში, სტუდენტებისათვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გაცნობას, შესწავლასა და გამოყენებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯში დამტკიცებული დირექტორის 2024 წლის 18 ივლისის N60-ა ბრძანებით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. რეგულაცია გულისხმობს გეგმის შედგენას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროგრამით გათვალისწინებული 5 პროფესიული მოდულის შედეგების გარკვეულ ნაწილს კოლეჯი განახორციელებს შპს ,,ევრომასტერის" - ს ბაზაზე, სადაც სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ხელმისწავდომობა სტუდენტებისათვის დასტურდება კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ერთდროულად მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 15 პროფესიული სტუდენტი, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და ვალდებულებებს, მოდულებსა და სწავლის შედეგებს, რომლებიც უნდა განხორციელედეს პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოდულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის არსებობა/საკმარისობის შეფასება პარტნიორი ორგანიზაციაში სტუმრობით და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და მათთან გასაუბრებით დასტურდება ზემოაღნიშნული.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,წყალარინების სისტემის მშენებლობა" სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება AC სასწავლო გარემოში და პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ საწარმოო სივრცეში. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პარტნიორი ორგანიზაციის სივრცეში გამოკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, რომელთა გაცნობა-ინსტრუქტაჟი განხორციელდება პროფესიული სტუდენტებისთვის ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთა განმარტებით მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განხორციელება მოხდება მაქსიმალური სიფრთხილით, რაც გამორიცხავს რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა/გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,წყალარინების სისტემის მშენებლობა" პაკეტი;
- პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სივრცეების ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 06 თებერვლის N 128115 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემას, შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების წესს, შეფასების ადმინისტრირების, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების პირობებს, განმეორებითი და დამატებითი შეფასების მექანიზმებს, საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებას, კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურას, შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და შუალედური შეფასების განხორციელების საკითხებს. დოკუმენტი ასევე ადგენს შეფასების პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირებისა და კომისიების უფლებამოსილებებს, შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში არის ისეთი საკითხები, რომლებიც ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თავლსაზრისით გაუმართავია. მოცემულია ,,განმეორებითი“ და ,,დამატებითი“ შეფასება, რომელიც ტერმინთა განმარტებაში არ იძებნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ განმეორებითი შეფასება ტარდება მოდულის სწავლის შედეგის პირველადი დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ხოლო დამატებითი - განმეორებითი შეფასების დაუდასტურებლობის შემდეგ. წესში არის ბევრი გაუმართავი წინადადება, რომელიც ართულებს დოკუმენტის შინაარსის ამოკითხვას. მაგ: ,,განმეორებით შეფასებაზე სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს მოდულით გათვალისწინებული იმ სწავლის შედეგ(ებ)ის/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ის შეფასება, რომელშიც არ დაუდასტურდა სწავლის შედეგები წინა განმსაზღვრელი შეფასებისას, ამასთან, თუ განმეორებითი შეფასება არ წარმოადგენს პროცესზე დაკვირვების შეფასების მიმართულებას, და ამიტომ, მისი განხორციელება განმეორებითი შეფასებისათვის განკუთვნილი საათების განმავლობაში შეუძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით, რაც ასევე, უნდა აისახოს შესაბამისი მოდულის მასწავლებლის სამასახურებრივ ბარათში“.

დოკუმენტში გაწერილია ვალიდაციის პროცედურა. აღნიშნულია, რომ ,,ვალიდაცია სრულდება შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ ერთი კვირით (5 დღე) ადრე, რისთვისაც შემფასებელმა (შესაბამისი მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებელმა) უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს სამსახურებრივი ბარათით (ვიზირებაში სვამს პროგრამის ხელმძღვანელს და დირექტორის მოადგილეს) შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით (10 დღე) ადრე და წარუდგინოს მის მიერ შემუშავებული შეფასების ფურცელი“ , აღნიშნული ჩანაწერით ვვარაუდობთ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ დირექტორის მოადგილე და პროგრამის ხელმძღვანელი არიან ვალიდატორები, თუმცა შემდეგ მუხლში ნათქვამია, რომ ვალიდაციას ახორციელებს ვალიდაციის ჯგუფი, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან: ჯგუფის ხელმძღვანელი - დირექტორის მოადგილე და წევრები: პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი სხვა მასწავლებელი, ან/და შესაბამისი კომპეტენციის მოწვეული პირი". აღნიშნული პროცესის უკეთ გასააზრებლად, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ჩატარებული ვალიდაციის დოკუმენტაცია. სადაც ვალიდაციის ჯგუფში გარდა დირექტორის მოადგილისა შედიის პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი ყველა პირი. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, ყველა მასწავლებელი შეჰყავთ ჯგუფში, საიდანაც კონკრეტული შემთხვევისთვის არჩევენ ვალიდატორებს. აღნიშნულის პრაქტიკაში გადამოწმების შემდეგ, ვერ დგინდება შეფასების ფორმის ავტორისა და ვალიდატორის ვინაობა, ვინაიდან შეფასების ფორმაში ფიქსირდება მხოლოდ დირექტორის მოადგილის ხელმოწერა. აღნიშნული მეთოდოლოგია არ იძლება ერთგვაროვან ინსტრუქციას, ხოლო პრაქტიკა არის არის შესაბამისი დადგენილი წესისა.

შეფასების წესი არეგულირებს „შეფასების ფურცლის" (შეფასების ინსტრუმენტი) შედგენის წესს. დანართის სახით ახლავს დოკუმენტს 2 ტიპის შეფასების ფურცელი, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. პირველ ფორმაში არ არის: პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი, შეფასების ჩატარებისთვის განკუთვნილი გარემო, აპელაციის პირობები. მეორე ფორმა მეტ-ნაკლებად სრულყოფილია, თუმცა არც აქ იკვეთება აპელაციის პირობები. დაწესებულების მიერ გამოყენებული ფორმა განსხვავდება ორივე ფორმისგან, თუმცა შინაარსობირივი თვალსაზრისით მოიცავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას , გარდა აპელაციის პირობებისა.
აღნიშნულ წესში დუბლირებულია ვერიფიკაციის პროცედურა. ვერიფიკაციის ჯგუფის ფუნქციები იკვეთება „სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების იდენტიფიცირება და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი მტკიცებულებების მონიტორინგის ჯგუფთის ფუნქციებთან, რომელიც ასევე ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შესწავლას. თუმცა არ არის დაზუსტებული ჯგუფის სამუშაო პერიოდი. ასევე არ არის გაწერილი ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდულობა. მხოლოდ ერთ პუნქტშია მოცემული შემდეგი ჩანაწერი - „ცალკეულ მოდულზე შეფასების პროცედურების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთ კვირის (5 დღე) ვადაში „მოდულის შეფასების ფურცელს" შევსებული სახით და სტუდენტების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს შესაბამისი მასწავლებელი წარუდგენს ვერიფიკაციის ჯგუფს" . ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვერიფკაციის ჯგუფის დასკვნა. აღნიშნულის მიხედვით, შეფასება ჩატარებულია 4 აპრილს, ხოოლო ვერიფიკაცია 3 ივნისს. გარდა ამისა, ვერიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან იგივე პირები, რომლებიც ვალიდაციის ჯგუფში. აღნიშნული წესი არ მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის მექანიზმს, ასევე არ მოიცავს აპელაციის შედეგების შეტყობინების მექანიზმს. მეთოდოლოგიის მიხედვით საპრეტენზიო კომისიას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, რომელიც არის სასწავლო პროცესთან დაკავშირებით შექმნილ ყველა სხვა კომისიის შემადგენლობაში. წესში მოიცავს გადამეტებული კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების რაოდენობას, რომელიც მეტად ართულებს პროცესის ადმინისტრირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. [illegible]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. [illegible]

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის N128115 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმებს.

წესის ანალიზმა გამოავლინა, რომ მასში ვერიფიკაციის პროცედურა დუბლირებულია, რაც ართულებს პროცესის ერთმნიშვნელოვან აღქმას და შესაძლოა გამოიწვიოს რეგულირების საკითხების განსხვავებული ინტერპრეტაცია. ამასთან, ვერიფიკაციის ჯგუფის ფუნქციები ნაწილობრივ იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი მტკიცებულებების მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციებთან, კერძოდ, ორივე ჯგუფის საქმიანობა მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შესწავლას, თუმცა დოკუმენტში მკაფიოდ არ არის გამიჯნული აღნიშნული ჯგუფების უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და ურთიერთკავშირი. ასევე, წესით არ არის განსაზღვრული ვერიფიკაციის ჯგუფის საქმიანობის პერიოდი და ვერიფიკაციის განხორციელების პერიოდულობა. აღნიშნული საკითხი მხოლოდ ერთ პუნქტშია ნაწილობრივ რეგულირებული, სადაც მითითებულია, რომ „ცალკეულ მოდულზე შეფასების პროცედურების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის (5 სამუშაო დღის) ვადაში „მოდულის შეფასების ფურცელს“ შევსებული სახით და სტუდენტების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს შესაბამისი მასწავლებელი წარუდგენს ვერიფიკაციის ჯგუფს“. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი არ განსაზღვრავს თავად ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების ვადასა და პერიოდულობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის მიხედვით დადგინდა, რომ კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა 4 აპრილს, ხოლო ვერიფიკაცია — 3 ივნისს, რაც მიუთითებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი შეფასების დასრულებიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ განხორციელდა და არ შეესაბამება წესით განსაზღვრულ მექანიზმს.

გარდა ამისა, დადგინდა, რომ ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან იგივე პირები, რომლებიც მონაწილეობენ ვალიდაციის ჯგუფის საქმიანობაში. აღნიშნული ქმნის ინტერესთა კონფლიქტის რისკს და ვერ უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის სათანადო ხარისხს. დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს გარე ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა აღნიშნული საკითხი სცდება დაწესებულების რეგულირების სფეროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის 2.17 პუნქტის თანახმად, შემაჯამებელ უწყისებს სასწავლო პროცესის მენეჯერი გადასცემს კოლეჯის არქივს, სადაც ხორციელდება მათი სათანადო აღრიცხვა. თუმცა, სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უწყისების ატვირთვა ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (Eflow), ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვა და მათი მიკვლევადობის უზრუნველყოფა შიდა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარე ვერიფიკაციის პროცესებისთვის არ ხორციელდება. კერძოდ, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალი/რეესტრი, აღნიშნული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შეფასების მტკიცებულებების სრულყოფილ მიკვლევადობას და ვერიფიკაციის პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის სისტემურ აღრიცხვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესის შესაბამისად, სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც. განმახორციელებელი პირები პროფესიულ სტუდენტებს სისტემატურად აწვდიან უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს მათი სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. ასევე, ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის შეფასების შედეგების განხილვა და გამოცდილების გაზიარება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი მუდმივად უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი;
- ვალიდაციის ჯგუფის ფორმა;
- ვერიფკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნა;
- შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
- პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულება;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი
17.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: